ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**გ-93. 93241876**

თარიღი:**05/07/2024**

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის ს და 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის № 669 დადგენილების 22- ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-2 პუნქტის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

მუხლი 1

მიეცეს თანხმობა, მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ შრომაში მდებარე 319137.00კვ.მ. (ს/კ 54.03.61.001) და 28231.00კვ.მ. (ს/კ 54.03.61.002) სასოფლო-სამეურნეო (საძოვარი) დანიშნულების მიწის ნაკვეთების 10 წლის ვადით, ელექტრონული აუქციონით, სასყიდლიანი ფორმით, იჯარით გაცემის თაობაზე.

მუხლი 2

საწყისი წლიური საიჯარო ქირა 319137.00კვ.მ. მიწის ნაკვეთზე განისაზღვროს - 4309 (ოთხიათას სამას ცხრა) ლარი, საგარანტიო თანხა - 700 (შვიდასი) ლარი, ბიჯი - 100 (ასი) ლარი, ხოლო 28231.00კვ. მიწის ნაკვეთზე წლიურ საიჯარო ქირად განისაზღვროს - 382 (სამას ოთხმოცდა ორი) ლარი, საგარანტიო თანხა 100 (ასი) ლარი, ხოლო ბიჯი - 30 (ოცდაათი) ლარი.

მუხლი 3

ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, მისამართი: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქუჩა №24.

კარლო ჯამბურია

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი